15
ივლისი
შაბათი,
1961 წ.
№ 99 (1735)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური ხაგზოს ორგანო

დღეს მოსკოვში, ცენტრალურ სტადიონზე

მოსკოვი. (ჩვენი საკ. კორ.). მძლეოსნობის მოყვარულთა ლოდინი დამთავრდა — მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნები, რომლებიც 15-16 ივლისს ცენტრალურ სტადიონზე გამართავენ მესამე საერთაშორისო მატჩს სსრ კავშირის ნაკრებთან. როგორც ცნობილია, დღეიდან საბჭოთა და ამერიკელი მძლეოსნები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — მოსკოვსა და ფილადელფიაში და ამერიკელებმა ორჯერვე დამარცხებულებმა დასტოვეს სარბიელი.

ამჯერად ამერიკელები გამარჯვების იმედით არიან გამსჭვალული, პრეს-კონფერენციაზე კორესპონდენტთა შეკითხვებზე პასუხები გასცეს აშშ-ს მძლეოსნობის მოყვარულთა ასოციაციის პრეზიდენტმა პ. სობერმა, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ჯ. ელიოტმა, ათლეტური კავშირის მდივან-ხაზინადარმა ჯ. ფერისმა, მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონმა, ჯ. თომასმა და სხვებმა.

— წინა წლების მარცხმა ჭკუა გვასწავლა, — თქვა ჯ. ელიოტმა,— ამიტომ ჩვენი გუნდი ახალი პრინციპით დავაკომპლექტეთ. ნაკრების წევრების თითქმის ნახევარისათვის ეს მატჩი პირველი საერთაშორისო შეხვედრა იქნება.

ჯ. ფერისი სხვა აზრისაა. იგი დარწმუნებულია თავისი ვაჟთა გუნდის გამარჯვებაში და ასევე დარწმუნებულია ქალთა დამარცხებაში. სამგზეროდ, საერთო ჩათვლაში ისიც უპირატესობას ამერიკელებს აძლევს, ამასთან, სინანულს გამოთქვამდა დ. ლონგისა და ჰ. კონოლის ჩამოუსვლელობის გამო.

— საკმაოდ ძნელი ამოცანა მაქვს გადასაწყვეტი. ვ. ბრუმელთან ბრძოლა ძნელია, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ საკუთარ ძალებში, ვინაიდან საუკეთესო ფორმაში ვიმყოფები. ვ. ბრუმელს დავუთმე მსოფლიო რეკორდი, მაგრამ არ დავნებებივარ,—თქვა ჯ. თომასმა.

თომასი და ბოსტონი კმაყოფილი არიან მოსკოვში ჩამოსვლით, მათ მოსწონთ ჩვენი დედაქალაქი, განსაკუთრებით ცენტრალური სტადიონი, სადაც თანაგუნდელებთან ერთად აკლიმატიზაციისათვის მეორე დღესვე ჩაატარეს წვრთნა.

გუშინ ცენტრალურ სტადიონზე შევხვდით ჩვენი ქვეყნის ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. კორობკოვს. კითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი მატჩის შედეგებზე, მოკლედ გვიპასუხა: გვსურს გამარჯვება. ცხადია, ეს სურვილი აქვთ სტუმრებსაც, მაგრამ, ვნახოთ, მხოლოდ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გახდება ნათელი, თუ ვისი სწრაფვა უფრო კანონზომიერია.

თუ დავუჯერებთ საზღვარგარეთელ სპეციალისტებს, რომლებიც ამ მატჩის სანახავად არიან ჩამოსულნი, ამერიკელები ამჯერადაც განწირული არიან დამარცხებისათვის, და მართლაც, თუ გადავხედავთ ამერიკისა და სსრ კავშირის რეკორდების ცხრილებს, ისინი აშკარად მეტყველებენ საბჭოთა სპორტსმენთა სასარგებლოდ. ქალთა შეჯიბრების 10 სახეობიდან 7-ში საბჭოთა რეკორდები გაცილებით მაღალია, ვაჟთა შორის უპირატესობა სტუმრების მხარესაა, მაგრამ არა ისეთი აშკარა განსხვავებით, როგორც ქალთა შორის.

ა. კალმახელიძე



★

სურათებზე: ტანმოძრაობათა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს (პირველ ადგილზე გამოსულთ) ჯილდოებს გასცემს სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბალოძე. ქვევით — პერტენავა ახრუკებს თავისუფალ ვარჯიშს.



ფოტო მ. ზარგარიანისა.

★

ჩეხი ფრენბურთელები თბილისში

დღეს და ხვალ თბილისში, სპორტის სასახლეში საქართველოს გუნდებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავენ ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელები. ისინი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვიენენ ლენინგრადიდან, სადაც ჩაატარეს ორი შეხვედრა. ჩეხოსლოვაკიის ქალთა ნაკრები გუნდის წინააღმდეგ გამოვიდა ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გუნდი. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა—3.2, სამაგიეროდ ვაჟთა გუნდების მატჩში აშკარა იყო ჩეხების უპირატესობა, რომლებმაც „მშრალი“ ანგარიშით — 3:0 მოუგეს ლენინგრადის ნაკრებს.

„დიდი ოლიმპიადა“

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). აქ დაიწყო მოსკოვის მეორე კინოფესტივალი, სადაც წარმოდგენილია სსრ კავშირის, აშშ-ს, გდრ-ს, მალის, ნორვეგიის, იაპონიის, ერაყისა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კინოხელოვნების მუშაკთა ნამუშევრები. უკვე ნაჩვენებ რამდენიმე მოკლე და სრულმეტრაჟიან ფილმებს შორის მნახველთა ყურადღება მიიპყრო იტალიელი რეჟისორის მარჩელინოს ფილმმა „დიდი ოლიმპიადა“.

ფერად ფართოეკრანიან ფილმში, რომელიც ორ საათზე მეტს გრძელდება, შესანიშნავადაა გადმოცემული რომის ოლიმპიური თამაშების ამბები, რომლებიც მაყურებელს განაცდევინებს უდიდეს სიამოვნებას.

ფილმის დამთავრების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფილმს მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ოლიმპიელებმა ი. ვლასოვმა, რ. შაველაყაძემ და ვ. კრეპკინამ. ფილმის შექმნის გზებზე ილაპარაკა მისმა დამდგმელმა მარჩელინომ, ჯერ-ჯერობით ფესტივალზე წარმოდგენილ ნამუშევართა შორის ეს იყო ერთადერთი ფილმი, სპორტულ თემაზე და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მან დიდი დაინტერესება გამოიწვია.

სასიმაღლო და ტვირთწიდვის რეკორდები

საბჭოთა მფრინავებმა „ტუ-114“-ით ამ დღეებში დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდები. თვითმფრინავის ეკიპაჟმა (მფრინავი სპორტის ოსტატი ი. სუხომლინი, მეორე მფრინავი პ. სოლდატოვი, შტურმანი ნ. ნოსოვი, წამყვანი ინჟინერი ვ. ბოგდანოვი, ბორტმექანიკოსი ს. პეტრაკოვი და რადისტი ა. ანიკინი) 30.035 კგ ტვირთი აიტანა 12535 მეტრ სიმაღლეზე. ძველი რეკორდსმენის ვ. კოკინაკის მაჩვენებელი უდრიდა 20 ტონას, რომელიც მან „ილ-18“-ით აიტანა 12.118 მეტრზე.

შედგა ნაკრები

მოსკოვში დამთავრდა ხუთჯიდელთა საკავშირო გუნდური პირველობა. უკანასკნელ დღეს გაიმართა მძლეოსნური კროსი, რომლის ფინიშზე პირველი იყო „ტრუდის“ გუნდის წევრი ი. ახვლედიანი — 13.15,4 წამი.

ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში ამჯერადაც უძლიერესნი იყვნენ დინამოელები, რომლებმაც საერთო ჩათვლაშიც არავის დაუთმეს ჩემპიონობა. არმიელი ხუთჯიდელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

პირად პირველობაზე ი. ნოვიკოვმა მოაგროვა 5262 ქ. და გაიმარჯვა, მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ნ. შინკარენკოსა და ი. დერიუგინს. გამარჯვებულთა გარდა საკავშირო ნაკრებში შევიდნენ ბ. პახომოვი, ა. ტარასოვი, მ. სელგი და ნ. სდოპნიკოვი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 19-23 ივლისს მოსკოვში გამართულ ხუთჯიდელთა მსოფლიო პირველობაზე.

ვაჟები

თბილისში ორი გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდს მორიგი კალენდარული შეხვედრა ჰქონდა კაუნასში ადგილობრივ „ჟალგირისთან“. თამაშის პირველივე წუთებიდანვე აშკარა იყო თბილისელ სპორტსმენთა უპირატესობა. კარგად თამაშობდა ა. ლეჟავა, რომელიც პარტნიორების მხარდაჭერით ბურთს ბურთზე ათავსებდა კაუნასელთა კალათში. თამაშის პირველი ნახევრის მე-10 წუთისათვის ანგარიში იყო 23:9 თბილისელთა სასარგებლოდ, მაგრამ შესკენებამდე „ჟალგირისის“ კალათბურთელები უფრო გააქტიურდნენ და ქულებში განსხვავება 6-მდე დაიყვანეს — 35:41.

შესვენების შემდეგ მატჩი უფრო საინტერესო გამოდგა და შეხვედრის უკანასკნელი წუთებისათვის თბილისელები წინ იყვნენ მხოლოდ ერთი ქულით — 66:65.

დარჩენილ დროში ვ. უგრეხელიძისა და გ. მინაშვილის შესანიშნავი თამაშის წყალობით „დინამომ“ მოიპოვა მეტად საჭირო გამარჯვება — 77:73.

• • •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	4	4	0	4
სკა რ.	6	4	2	4
„დინამო“ მ.	5	3	2	3
სკიფი კ.	5	3	2	3
„დინამო“ თბ.	6	3	3	3
„ბურ“. ლ.	3	2	1	2
„ჟალგირისი“ კ.	5	1	4	1
„სპარტაკ“ ლ.	6	0	6	0

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

ქალები

განახლდა „ა“ კლასის კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრები 1961 წლის საკავშირო პირველობაზე. მოსკოვის დინამოელებთან ერთად წარუმატებლად თამაშობენ თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელებიც. მორიგი კალენდარული მატჩი მოსკოველებმა ჩაატარეს ლენინგრადის სკას წინააღმდეგ და განიცადეს დამარცხება ანგარიშით—49:73. თბილისელი სტუდენტები შეხვდნენ ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდს. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში უპირატესობა ესტონელი კალათბურთელების მხარეზე იყო, რომელთაც მოიგეს მატჩი ანგარიშით 65:43 (29:18). მოსკოვის „ტრუდმა“ მოუგო გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 60:49, რიგის ტტტ-ს და ლენინგრადის სკიფ-ის გუნდების მატჩი მოიგეს რიგელმა სპორტსმენებმა — 58:41.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

ქალები

სპორტის ოსტატი — დაიკავოს პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა პირველობის ფინალში,

ან

საბჭოთა კავშირის ქალთა პირველობის ფინალში დაიკავოს ან გაიყოს ადგილი, რომლის საშუალო არითმეტიკული არ აღემატება ტურნირში მონაწილე ოსტატთა რაოდენობის ნახევარს,

ან

მოუგოს საკლასიფიკაციო მატჩი 12 პარტიიდან სპორტის ოსტატს,

ან

მიაღწიოს მაღალ მაჩვენებლებს საერთაშორისო შეჯიბრებებში.

თანრიგის დასამტკიცებლად — სამი წლის განმავლობაში, ტურნირში, რომელშიც დადგენილია ნორმატივი, მიაღწიოს ამ ნორმატივზე ნახევარი ქულით ნაკლებ შედეგს.

ჭადრაკი

დამატებითი პირობები და მოთხოვნები ჭადრაკში

1. ყველა შეჯიბრება კოეფიციენტით 4,0 და ნაკლები, ტარდება საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი ოფიციალური მსაჯის ხელმძღვანელობით (მსაჯის გარეშე ჩატარებული შეჯიბრება კლასიფიკაციით არ განიხილება). ასეთ ტურნირებში აუცილებელია საკონტროლო საჭადრაკო საათები და პარტიების ჩაწერა ყველა მონაწილის მიერ.

2. კლასიფიკაციისათვის პირად შეჯიბრებაში ნათამაშები უნდა იყოს არანაკლებ 10 პარტიისა, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაში არა ნაკლებ 6 პარტიისა. კლასიფიკაციის დროს მხედველობაში არ მიიღება პლიუსები (ჩაუტარებელი პარტიებისათვის), მაგრამ ითვლება, როგორც ქულა ტურნირის სპორტული შედეგების შეჯამების დროს.

შენიშვნა: V და IV თანრიგები შეიძლება მიენიჭოთ ორ წრედ ჩატარებულ ტურნირებში (მონაწილენი ერთმანეთს ხვდებიან ორ-ორჯერ), რომლებშიც მონაწილეობს არანაკლებ 6 სპორტსმენისა.

3. საერთო საფუძვლების შესაბამისად ჭაბუკები კლასიფიცირდებიან მოზრდილებთან ერთად, გოგონები და ქალები V-დან I თანრიგამდე — ვაჟთა თანაბრად.

4. გუნდურ შეჯიბრებათა მიხედვით ყველა თანრიგი ენიჭება და მტკიცდება ერთი წლით. საკავშირო მასშტაბის გუნდურ შეჯიბრებებში (საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს, სპორტულ საზოგადოებათა და უწყებების ცენტრალური საბჭოების კალენდარული გეგმის მიხედვით) თანრიგები ენიჭება და მტკიცდება სათანრიგო მოთხოვნებით დადგენილი ვადით.

გუნდური შედეგების მიხედვით საკანდიდატო ბალების მინიჭება წარმოებს მაღალი შემოქმედებითი მაჩვენებლებისათვის, ხოლო ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის თანრიგის მინიჭება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საკლასიფიკაციო კომისიის მიერ წინასწარაა ნორმატივები დადგენილი ამ შეჯიბრებებისათვის.

5. მოჭადრაკეს უფლება აქვს ერთდროულად მონაწილეობდეს მხოლოდ ერთ პირად შეჯიბრებაში.

6. I, II და III თანრიგის მოჭადრაკეს, რომელიც პირველ შეჯიბრებაში ვერ შეასრულებს თავისი თანრიგის დამტკიცების ნორმატივს, ეთვლება „წარუმატებლობა“, მეორე შეუსრულებლობის დროს — „წარუმატებლობა“ პირველ ტურნირში დამტკიცებით; მესამე „წარუმატებლობის“ შემთხვევაში მოჭადრაკე გადაიყვანება დაბალ თანრიგში.

I, II და III თანრიგის მოჭადრაკეებს თანრიგის დასამტკიცებლად საერთო ნორმატივის ნახევარ შეუსრულებლობისათვის ერთ-ორ წლად ეთელებათ ორი „წარმატებლობა“, ე. ი. ისინი ვალდებულნი არიან თავისი თანრიგი დამტკიცონ პირველსავე ტურნირში.

7. საკლასიფიკაციო კომისიები ვალდებულნი არიან აღრიცხონ თვითეული სპორტსმენის შედეგი ყველა ჩატარებულ შეჯიბრებაში, აღრიცხონ თვითეული შეჯიბრების შედეგი როგორც სპორტსმენის ლეგეში, ისე სააღრიცხვო ბარათში, რომელიც საკლასიფიკაციო კომისიის საქმეებში ინახება. სპორტის ოსტატის წოდების მინიჭების დროს უმაღლესი საკლასიფიკაციო კომისია ვალდებულია მხედველობაში მიიღოს არა მარტო ქულათა რიცხვი ნორმატივის შესრულებისათვის, არამედ ნათამაშევი პარტიების ხასიათი, მოქმედებითი მხარეც.

8. მშთ-ს ნორმატივების ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან მამაკაცები 40 წლის ზევით და ქალები 35 წლის ზევით; აგრეთვე ის ადამიანები, რომლებსაც ნორმატივების ჩაბარება არ შეუძლიათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.





როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ, ბათუმში დამთავრდა ჩოგბურთელთა ზონალური პირველობა, სადაც გამარჯვებულნი გამოვიდნენ თბილისელები გ. ღარიბაშვილი და რ. აბუანდაძე.

სურათებზე: გ. ღარიბაშვილი და რ. აბუანდაძე თამაშის დროს.

ფოტო ა. კებაბჩიანისა.

სპორტულ საზოგადოებებში

„განთიადი“

სპორტში მშრომელთა ფართო ფენების მიზიდვის, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა „განთიადის“ ცენტრალური საბჭო.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად 1961 წელს „განთიადის“ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ 1200 ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე, 3200 ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 1066 საზოგადოებრივი მსაჯი და 1200 საწარმოო ტანვარჯიშის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

საზოგადოებრივი კადრების დიდი რაოდენობა ფიზკულტურულ კოლექტივებში მზადდება, ხოლო ცენტრალიზებული წესით — „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოში. ცენტრალური საბჭო ფიზკულტურული კოლექტივების აქტივისათვის აწყობს კურსებსა და სემინარებს. მომდინარე წლის განმავლობაში უკვე ჩატარებულია საზოგადოებრივი კადრების მომზადების შემდეგი პროფილების კურსები და სემინარები: ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეებისათვის, საწარმოო ტანვარჯიშის საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისათვის, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯებისათვის ფრენბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ხშირად იკითხება ლექცია-მოხსენებები სპორტულ თემებზე. სასწავლო-სავარჯიშო მეცადინეობებზე მოწვეული არიან გამოცდილი სპეციალისტები და მასწავლებლები.

გ. ავაშაძე

სპორტულ საზოგადოებებში

„ბოლმეურნე“

ჩატარდა ამბროლაურის „ბოლმეურნის“ თასის გათამაშება კალათბურთში, თასის მფლობელად გახდა სოფ. ლიხეთის კოლმეურნეობის გუნდი.

რაიონში პირველად ჩატარდა მოზარდ ფეხბურთელთა თასის გათამაშება, სადაც მონაწილეობდა 12 გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძირაგეულისა და სადმელის გუნდები. გაიმარჯვა სადმელის გუნდმა, რომელსაც გადაეცა რაიონის ძველი ფეხბურთელის ს. ლომაძის სახელობის თასი.

ა. ვაჩაძ

ბურთების შეფარდება 23:0

ზოსტაკა. (ტელეგრაფით ჩვენ. სპეც. კორ.). აქ გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება XV ზონაში.

მორიგ გამარჯვებას მიაღწია თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა, რომელმა მოწინააღმდეგე ამჯერად იყო პოლტავის „კოლგოსპნიკი“. ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესო თამაში ჩვენეს და დაამარცხეს პოლტაველ გუნდი ანგარიშით 13:0.

მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილია ერთი თამაში სუმის „ავანგარდთან“, თბილისელებმა უკვე გაინაღდეს პირველი ადგილი ზონაში ქულათა მაქსიმუმით ბურთების შეფარდებით — 23:

გ. ბაქანი

ევროპის ჩემპიონთა თასი

გუშინ რიგაში, შედგა კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ რიგელები და მოსკოვის არმიელთა გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა—87

უუურადღებოების შედეგი

დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკური სპარტაკიადა. დაჯილდოვდნენ საპრიზო ადგილზე გასული გუნდები და ახლა, როცა ასპარეზობა უკან დარჩა, შეიძლება ვილაპარაკოთ მის ავკარგიანობაზე.

რა მიზანი ჰქონდა სპარტაკიადას? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა პატარა ექსკურსი გავაკეთოთ წარსულში. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიმართა რესპუბლიკის სპეციალური სასწავლებლების დირექტორთა და ფიზიკურ აღზრდის მასწავლებელთა თათბირი, რომლის მოწვევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ტექნიკუმების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა საგრძნობლად ჩამორჩებოდა საშუალო სასწავლებლებში ფიზკულტურული სწავლების დონეს.

თათბირის მონაწილეთა საბოლოო დასკვნა იყო გაეუმჯობესებინათ ტექნიკუმებში არსებული ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობა და ყველა საშუალებით შეეწყოთ ხელი მოსწავლეთა ფიზიკური წრთობისათვის.

ამ მიმართულებით გაწლილი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი უნდა ყოფილიყო სწორედ ეს ზემოაღნიშნული სპარტაკიადა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ გაუგია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ზოგიერთ ხელმძღვანელს და მათი უსულგულო დამოკიდებულების გამო ამ ღონისძიებამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება.

რესპუბლიკის 30 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან სპარტაკიადაში მონაწილეობდა მხოლოდ 21 ტექნიკუმი. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ აქედან რამდენიმე მათგანმა (მათ შორის კარგი ტრადიციების მქონე წინამძღვრიანთკარის, ბათუმის, ხეთისა და სხვა) სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული 5 სახეობის მაგივრად ერთ ან ორ სახეობაში მიიღო მონაწილეობა, ცხადი გახდება, რომ მდგომარეობა მართლაც სავალალოა.

იქნებ დებულება მკაცრი იყო და მონაწილეთა დიდი რაოდენობით გამოგზავნა ან მაღალი სათანრიგო მოთხოვნების შესრულება გაუჭირდებოდათ ტექნიკუმებს? არა! ჭადრაკში მხოლოდ ერთი მონაწილის გამოგზავნა იყო საჭირო, სროლაში —ორისა, ქართულ ჭიდაობასა და ველოსპორტში—8, ხოლო მძლეოსნობაში — 16 სპორტსმენისა. ეს იყო და ეს.

სპარტაკიადის დებულებით შეჯიბრებაში დაიშვებოდნენ მხოლოდ მესამეთანრიგოსნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეჯიბრებებში მონაწილე 489 „მესამეთანრიგოსნიდან“ მხოლოდ 33-მა შეძლო სათანრიგო ნორმატივის ჩვენება, აქედან 25-მა — მძლეოსნობაში და დანარჩენებმა—სროლასა და ველოსპორტში. წულუკიძელმა რ. სახვაძემ შეასრულა მეორე თანრიგი ჭადრაკში, ხოლო გორელმა ვ. შიუკაშვილმა — სროლაში.

ეს მეტად არადამაკმაყოფილებელი შედეგები სერიოზული გაფრთხილებაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დირექციებისა და ფიზიკურ აღზრდის მასწავლებლებისათვის, რომლებიც თვითდინებაზე უშვებენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

ნუთუ მთლად ჩაკვდა ფიზკულტურული მუშაობა ზუგდიდის, წალკის, ბოლნისის, ახალციხის, ახალქალაქისა და ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში, რომ აქედან თითო სპორტსმენის გამოგზავნაც ვერ შეძლეს სპარტაკიადაზე?

გ. ხამსონაძე

ლელო

მე-2 გვ. № 99 (1785)

რ. პერტენავა — რესპუბლიკის ჩემპიონი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ვაჟთა შორის სავალდებულო ვარჯიშებში პირველობისათვის ბრძოლის ბედი საკმაოდ დრამატულად გადაწყდა მას შემდეგ, რაც რ. პერტენავამ ჩავარდნა განიცადა რგოლებზე ვარჯიშში და მიიღო დაბალი შეფასება. ამან საშუალება მისცა მის კვალდაკვალ, მეორე ადგილზე მიმავალ გ. გრომოვს გადაესწრო ლიდერისათვის და სათავეში ჩადგომოდა ჩემპიონის წოდებისათვის მებრძოლთა რიგებს.

ნებისმიერი ვარჯიშების სტარტზე ძირითადი პრეტენდენტები ასეთი „მარაგით“ განლაგდნენ: გ. გრომოვი — 56,25, რ. პერტენავა — 55,4 და რ. მკრტიჩიანი — 54,85 ქულა. ასე დაიწყო მეტად მწვავე და საინტერესო ბრძოლა, რომლის მანძილზეც რ. პერტენავა დაჟინებით ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, ხოლო გ. გრომოვი — შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა ლიდერობა. აი, ამ მწვავე ორთაბრძოლის გამოხატულება ციფრებში პირველი ორი ვარჯიშის შეფასებით: გ. გრომოვი — 9,05 და 9 ქულა, ხოლო პერტენავა — 9,1 და 9,15. როგორც ვხედავთ, პერტენავამ შეამცირა განსხვავება ლიდერთან, მაგრამ ეს არსებით გარღვეხას ვერ ახდენდა ბრძოლაში.

მაგრამ აქ შეჯიბრების მსვლელობას კვლავ „ჩაერია“ შემთხვევა. ძნელი სათქმელია, იყო ეს დაძაბულ ბრძოლაში ნერვების ღალატის შედეგი, თუ თავისი სიტყვა თქვა გრომოვის შეუძლობამ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ლიდერმა საოცრად ცუდად შეასრულა ბჯენითი ხტომების ორივე ცდა, დაკმაყოფილდა მეტად დაბალი შედეგით — 8 ქულით და ახლა თვითონ აღმოჩნდა საგრძნობი განსხვავებით მეორე ადგილზე; მესამე ვარჯიშში პერტენავამ მიიღო 9,2 ქულა და 82,85 ქ. დააგროვა გრომოვის 82,3 ქულის საპირისპიროდ. ამ ვარჯიშის შემდეგ გრომოვმაც შეწყვიტა ბრძოლა ავადმყოფობის გამო და მეორე ადგილისათვის პაექრობა რ. მკრტიჩიანს, ი. კოვალიოვსა და ჯ. ფრიდონიშვილს შეატოვა. ამ უკანასკნელთა შორის თანდათანობით გამოიკვეთა ი. კოვალიოვის უპირატესობა, რომელიც ნებისმიერი ვარჯიშების მეორე ტურის შემდეგ უკვე გაუთანაბრდა ქულებით



მკრტიჩიანს — 81,6. ამის შემდეგ გამოცდილი ოსტატი თანდათანობით წინაც გავიდა და 109,4 ქულით მეორე ადგილი გაინაღდა. რაც შეეხება რ. პერტენავას, მან დამაჯერებლად შეასრულა დარჩენილი სამი ვარჯიშიც და 110,85 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. რ. მკრტიჩიანმა დააგროვა 108,3, ხოლო ჯ. ფრიდონიშვილმა — 107,05 ქულა. როგორც ცნობილია, ამავე შეჯიბრებაზე მიმდინარეობდა პარალელური ჩათვლა პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების წევრთათვის. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სპარტაკელი ი. კოვალიოვი, ხოლო საპრიზო ადგილები დაიკავეს რ. მკრტიჩიანმა („ბურევესტნიკი“), და ჯ. ფრიდონიშვილმა („სპარტაკი“).

გუნდურ ჩათვლაში „დინამოს“ დაწინაურებულ კოლექტივს უკანასკნელ დღეს გადაუსწრეს „ბურევესტნიკმა“ და „განთიადმა“ — მეორე ადგილზე დასწრეს იგი „ბურევესტნიკი“ 229,22 ქულით. ეს ფაქტი არა მარტო რესპუბლიკას, ალბათ, პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონიც.

ძირეულ კოლექტივთა შორის გაიმარჯვა ქალაქის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდმა. პირველთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს: გელოვანმა („ბურევესტნიკი“) — 110,6 ქულა, ბუიღლიშვილმა („დინამო“) — 108,2 და შერვაშიძემ („ბურევესტნიკი“) — 107,3 ქულა.

შ. ჯუღელი

სურათზე: შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოსული, პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამარჯვებული ი. კოვალიოვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 14 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 6:4 (2:2).

„ტორპედო“: გლუხოტკო; მედაკინი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი; ვორონინი, მანოშინი; მეტრეველი (სერგეევი), ბატანოვი, გუსაროვი, ივანოვი, დენისოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე; ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, იამანიძე; დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი კ. ანძიულისი (ლიტვა).

„დიდი ფინალი“ გამეორდა

ახლა, როცა შეხვედრებში ნათლადაა შემორჩენილი გუშინდელი მატჩის ყველა დეტალი, მისი ურთულესი პერიპეტიები, ხედმეტია ლაპარაკი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ განვლილი წლების შეხვედრათა ისტორიაზე. ყველამ კარგად იცის, რომ ამ ორი გუნდის ბრძოლა საკავშირო პირველობებზე შეადგენს სამამულო ფეხბურთის განვითარების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მათი შარშანდელი ფინალური მატჩი, ეს „დიდი ფინალი“ ჭეშმარიტად უბრწყინვალეს თავს წარმოადგენს ჩვენი ფეხბურთის მატიანეში.

და ეს „დიდი ფინალი“ გამეორდა 14 ივლისს ამ გუნდების მორიგ შეხვედრაში. გამეორდა მთელი თავისი დაძაბულობით, სილამაზით და ტემპერამენტით.

მატჩის დასაწყისი იყო ისეთი, როგორსაც არ მოელოდა არავინ: „დინამოს“ დაცვაში წამით დარღვა მოთამაშეთა განლაგება, სველ მინდორზე ფეხი დაუცდა იამანიძეს და ბატანოვი სრულიად მარტო, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გავიდა კოტრიკაძის პირისპირ. ასეთ საჩუქარს, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დატოვებდა სსრ კავშირის ნაკრების ძირითადი თავდამსხმელი და მანაც არ დატოვა იგი უშედეგოდ—1:0.

1:0 მაშინ, როცა ამგვარი მნიშვნელობის მატჩის მე-2 წუთი მიმდინარეობს, უკვე დიდი ფორაა. მას შეუძლია ფაქტიურად გადაწყვიტოს თამაშის ბედი, მაგრამ დინამოელთა დიდი დამსახურება ისაა, რომ მათ ყოველგვარი პანიკის გარეშე დაიცვეს სათამაშო დისციპლინა და მწყობრად, გეგმიანად მოქმედებდნენ მაშინაც კი, როცა მათს კარში შემდგომშიც განმეორდა ანალოგიური დასანანი გოლები.

თბილისელებმა შეტევა დაიწყეს არა ამ მიღებული გოლის აფექტით. საერთო უპირატესობის მოპოვებისათვის საჭირო ოპერაციები განხორციელებულ იქნა მინდვრის შუაგულში, რომელიც დაცვის ხაზის მოთამაშეთა მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნა აყვანილი და პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გ. სიჭინავას საუკეთესო თამაში. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი დღითი-დღე აუმჯობესებს თამაშს. გუშინ კი იგი დასრულებულ ოსტატად მოგვევლინა. მას აქტიურად უმართავდა მხარს ზეინკლიშვილი, ხოლო თორაძე ხშირად გამოდიოდა წინა პოზიციებზე, რათა ინდივიდუალური ბრძოლის სიმწვავე გუსაროვთან ჰქონოდა არა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, არამედ მისგან დაცილებით, დაცვის ფლანგებზეც მალე მოწესრიგდა ყველაფერი, ვინაიდან დენისოვი საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას ჩოხელისათვის, ხოჭოლავა კი ისე გაუსწორდა მეტრეველს, რომ მწვრთნელი იძულებული იყო მეორე ტაიმში გაეყვანა იგი მინდვრიდან.

დაახლოებით მეათე წუთისათვის „დინამო“ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო. მართალია, პირველ ხანებში უშუალო საფრთხე მოსკოველთა კარისათვის არ იქმნებოდა, ვინაიდან კალოევი ხშირად გადიოდა ფლანგებზე, რათა თან გაეყოლებინა ცენტრალური მცველი გუსაროვი და თავისუფალ ზონაში გაეყვანა ბარქაია, მაგრამ, როცა ეს გეგმა არ შესრულდა, კალოევი დაუბრუნდა თავის ადგილს და ამის შემდეგ ყოველი მაღალი ბურთი მის უშუალო განკარგულებაში იყო. საუკეთესო თამაში აჩვენა მარჯვენა ფრთაზე დათუნაშვილმა, რომელმაც მთლიანად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

და მაინც დინამოელთა შეტევის ძირითადი სიმწვავე მარცხენა ფრთიდან ხორციელდებოდა. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ იამანიძე და მესხი „უმაღლესი პილოტაჟის“ უძნელეს ტექნიკურ ელემენტებს ასრულებდნენ. სწორედ მათ შეიტანეს დეზორგანიზაცია „ტორპედოს“ დაცვის რიგებში და კალოევთან ურთიერთმოქმედებაში იერიშებს მისცეს დასრულებული, შედეგიანი ხასიათი.

25-ე წუთისათვის თამაშმა თითქმის მთლიანად „ტორპედოს“ კართან გადაინაცვლა. დინამოელთა შტურმი საარტილერიო კანონადას ჰგავდა, რომელიც მალე გოლით უნდა დამთავრებულიყო და ეს უაღრესად საჭირო გოლი მესხმა მოუტანა თავის გუნდს მოულოდნელი, მკვეთრი დარტყმით შორ კუთხეში — 1 : 1.

41-ე წუთზე დათუნაშვილმა ზუსტად მოაწოდა კუთხური და კალოევმა თავისი გამოზომილი თავური დარტყმით ბურთი კარში გაგზავნა — 2:1.

მხოლოდ ორი წუთი იყო დარჩენილი ტაიმის დამთავრებამდე და ამ ორ წუთში ტორპედოელებმა აჩვენეს მთელი თავიანთი ოსტატობა. ღრმა დაცვიდან წინ წამოიწიეს ივანოვმა და ბატანოვმა და ამ უკანასკნელმა რამდენიმე მცველთან პირისპირ ბრძოლის შემდეგ კარის შორ კუთხეში გაიტანა ბურთი — 2:2.

დინამოელთა თითქმის აბსოლუტური უპირატესობის შედეგი იყო მხოლოდ ფრე პირველი 45 წუთის შემდეგ. ეს თავისთავად დასანანი იყო, მაგრამ ამას მოჰყვა ის, რომ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გუსაროვის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს და შეგორდა კარში — 3:2.

აი სწორედ ამ მძიმე ვითარებაში გამოიჩინეს დინამოელებმა ის დიდი ბრძოლისუნარიანობა, რომელსაც ისინი ზოგჯერ უსარგებლო „თადარიგში“ ინახავენ ხოლმე. სულ მცირე ხანს შემდეგ მესხმა კარგად ჩააწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე. კალოევმა თავით დაარტყა კარში და მცველებმა ხელით მოიგერიეს იგი, მაგრამ ბურთთან ერთდროულად გაჩნდნენ დათუნაშვილი და იამანიძე და ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 3 : 3.

თბილისელთა შეტევა სულ უფრო და უფრო მძლავრდებოდა. მესხის ფინტების შემდეგ მედაკინი ზოგჯერ დაბნეული ეძებდა ბურთსაც და თვით მესხსაც, რომელიც ამ დროს მეორე, მესამე ტორპედოელს გადიოდა სრული სისწრაფით. მისი ერთ-ერთი ამგვარი გარღვევის შემდეგ ბურთი მიიღო კალოევმა, გადასცა იამანიძეს და მან ზუსტად გაანგარიშებული დარტყმით გაიტანა მეოთხე გოლი, ხოლო მე-16 წუთზე „დინამოს“ კაპიტანმა ერთხელ კიდევ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 5:3. ეს ბურთი მან ამჯერადაც კალოევისაგან მიიღო.

დაახლოებით 30-ე წუთამდე გრძელდებოდა ტორპედოელთა კარის „დაბომბვა“. თბილისელები თამაშობდნენ ბრწყინვალედ, ტემპერამენტით, მთელი სიმძლავრით და, ჩვენის აზრით, იმ მომენტში, როცა ყველაფერი მათს ხელთ იყო, ნაჩქარევი და უსარგებლო გამოდგა დროის გაჭიანურებაზე გადასვლა. „ტორპედო“ — ესაა გუნდი, რომლისთვისაც წუთითაც არ შეიძლება ინიციატივის მიცემა, დინამოელებმა კი მისცეს მათ კონტრშეტევის საშუალება. მოსკოველებმა გამოიყენეს ეს უკანასკნელი შანსი და გუსაროვმა მეოთხე გოლი გაიტანა — 4 : 5.

ამ შესანიშნავი მატჩის უკანასკნელ აკორდს წარმოადგენდა ბარქაიასი და მესხის კომბინაცია, რომლის შედეგად ბურთს ზედ კარის ხაზთან მიუსწრო შუსტიკოვმა და „დაეხმარა“ მას კარში გასვლაში — 6 : 4.

საინტერესო თამაში, რომელსაც უკიდურესი დაძაბულობის ქვეშ ჰყავდა მაყურებლები, დამთავრდა თბილისელთა ღირსეული გამარჯვებით. და ისევე, როგორც შარშან, ფინალურ მატჩში პირველად დამარცხებულებმა მიულოცეს გამარჯვებულებს. მაგრამ, ამჯერად ეს იყვნენ მოსკოველები, რომლებმაც მეგობრულად გადახვიეს ხელი გამარჯვებულებს — დინამოელებს.

ა. ზაზროშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ბ. ჟორჟია.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 15 ივლისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	14	11	1	2	32:17	23
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	16	7	6	3	28:22	20
„დინამო“ (თბილისი)	15	8	3	4	26:15	19
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	15	7	5	3	14:10	19
სკა (როსტოვი)	15	8	2	5	31:15	18
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	15	4	7	4	15:15	15
„შახტიორი“ (სტალინო)	16	5	5	6	14:16	15
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)	15	5	2	8	14:20	12
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	16	3	4	9	14:26	10
„დაუგავა“ (რიგა)	16	3	4	9	18:32	10
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	15	1	5	9	13:31	7

II ჯგუფი

„დინამო“ (კიევი)	15	10	3	2	32:11	23
ცსკა	15	10	2	3	44:22	22
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	7	4	4	23:13	18
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	15	7	4	4	25:28	18
„სპარტაკი“ (ერევანი)	15	5	6	4	22:23	16
„კაირატი“ (ალმა-ატა)	15	5	5	5	18:21	15
„დინამო“ (მოსკოვი)	16	5	5	6	20:24	15
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	16	5	4	7	26:27	14
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	15	4	5	6	17:23	13
„ბელარუსი“ (მინსკი)	16	2	5	9	13:24	9
„კალევი“ (ტალინი)	15	0	5	10	10:34	5

„ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„დაუგავა“ (რიგა) — 1:2.
სკა (როსტოვი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი) — 0:1.
„შახტიორი“ (სტალინო)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — 0:1.
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი) — 5:1.

„სპარტაკი“ (ერევანი)-„კალევი“ (ტალინი) — 2:0.
„კაირატი“ (ალმა-ატა)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 2:0.
„დინამო“ (კიევი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 2:0.
ცსკა-„დინამო“ (მოსკოვი) — 5:1.
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 0:2.

ლ ე ლ ო
მე-3 გვ. № 99 (1735)

ფეხბურთის ახალი ამბები

დაიწყო დასკვნითი თამაშები

დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ფაზა — შეჯიბრებები შესარჩევ ჯგუფებში. ფინალურ ჯგუფში გავიდნენ შარშანდელი ჩემპიონი „ჰამბურგერ შპორტფერაინი“, „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი), „ბორუსია“ (დორტმუნდი), „ფკ საარბრიუკენი“, „ფკ ნიურნბერგი“, „ვერდერი“ (ბრემენი), „ფკ კელნი“ და „ერტა“ (დასავლეთ ბერლინი).

პირველივე ტური მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: დამარცხება განიცადა „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“, რომელსაც ეროვნული ნაკრების 5 მოთამაშე ჰყავს. მან წააგო „ბორუსიასთან“—2:5, „ნიურნბერგმა“ მოუგო „ჰერტას“ (2:0). ფრედ დამთავრდა „აინტრაჰტ“-„საარბრიუკენისა“ და „ვერდერ-კელნის“ მატჩები ერთნაირი ანგარიშით — 1:1.

სნაიპერთა ცხრილში

იტალიელი სპორტული მიმომხილველები ყოველთვის თვალსაჩინო ყურადღებას უთმობენ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის სნაიპერებს. შარშანწინ საუკეთესო სნაიპერი იყო ანჯელილო („ინტერნაციონალე“), ხოლო შარშან ალტაფინი-მაცოლა („მილანი“).

მოგვყავს წლევანდელი ჩემპიონატის საბოლოო შედეგები: ბრიჯენტი („სამპდორია“) — 28 გოლი, ალტაფანი („მილანი“) — 22, სივორი („იუვენტუსი“) და მანფრედინი („რომა“) — 20.

საყურადღებოა, რომ 10 საუკეთესო სნაიპერიდან 8 იმპორტირებული მოთამაშეა, თუმცა გასული წლებისგან განსხვავებით პირველი ადგილი დარჩა არა რომელიმე საზღვარგარეთელ „ვარსკვლავს“, არამედ იტალიის ნაკრების ცენტრფორვარდ ბრიჯენტის.



სურათებზე: თბილისის სპორტული ნაწარმის ფაბრიკის სამკერვალო საამქროში. შესვენების დროს საწარმოო ტანვარჯიშს ატარებს ნ. ლოლიშვილი (ზევით), ამ საამქროს მოწინავე მკერავები (მარჯვნივ) ქ. ლურსმანაშვილი და ნ. ქვრივიშვილი მტკიცედ დგანან სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების აღსანიშნავ შრომით ვახტზე და საწარმოო გეგმებს გადაჭარბებით ანაღდებენ.

ფოტო ვ. გოგაძისა.

ტიტი ჯარმოლებისაგან

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ მოაწყო გამოჩენილ მწვრთნელთა თათბირი შვეიცარიაში, აქ იყვნენ ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელები, წამყვანი კლუბების მწვრთნელები, ცნობილი მიმომხილველები და სხვა სპეციალისტები, გერმანული ჟურნალის „ფუსბალ ვოხეს“ რედაქციამ მათ მისცა ორი კითხვა: 1. რგორ წარმოგიდგენიათ ფეხბურთის შემდგომი განვითარება, 2. როგორ ამზადებთ ეროვნულ ნაკრებს ჩილში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის?

ვთავაზობთ მწვრთნელთა პასუხებს.

ჯოვანი ფერარი,
იტალიის ნაკრების მწვრთნელი.

1. ტექნიკა ფეხბურთის საფუძველია. ამიტომ მე ფეხბურთის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკის განვითარებას ვგულისხმობ, თუმცა ტექნიკა არ უნდა იქცეს თვითმიზნად. 90 წუთის განმავლობაში სწრაფად მოთამაშე ფეხბურთელმა ტექნიკა რაციონალურად უნდა გამოიყენოს. მეორე ადგილი ფეხბურთში უკავია ფიზიკურ მომზადებას, რომლის გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს ტექნიკური, კომბინაციური თამაშის გაუმჯობესებასთან ერთად.

2. იტალიის ეროვნულ ნაკრებს მხოლოდ ისრაელის გუნდის დამარცხება მართებს, რათა ჩილში გამგზავრების უფლება მოიპოვოს. ეს ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენ ვაპირებთ ჩამოვაყალიბოთ ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც მრავალ საერთაშორისო თამაშს ჩაატარებს. ვინც ამ თამაშებში თავს გამოიჩენს, ჩაირიცხება ეროვნულ ნაკრებში. მომავალი წლის აპრილისათვის დამთავრდება ნაკრების საბოლოო ჩამოყალიბება, რასაც მოყვება რამდენიმე სერიოზული საერთაშორისო ამხანაგური თამაში, ამის შემდეგ გუნდი ხანგრძლივ საწვრთნელ შეკრებას გაივლის და გაემგზავრება ჩილში.

გუსტავ შეგეში,
უნგრელი მწვრთნელი.

1. ფეხბურთის შემდგომი განვითარება, უპირველეს ყოვლისა, თეორიისა და პრაქტიკის აუცილებელ დაახლოებასთანაა დაკავშირებული. ფეხბურთელებთან მუშაობაში დაუშვებელია შაბლონი. ახალგაზრდების წვრთნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკის დახვეწას.

2. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უნგრელები ჩილში გაემგზავრებიან. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელების წინაშე დგას მთავარი ამოცანა: მაღალი კლასის ფეხბურთელთაგან კარგი, მონოლითური კოლექტივის შექმნა. მეორე საკითხი დაკავშირებულია თვით ჩილის მდებარეობასთან. ევროპის ყველა ნაკრებისათვის ფრიად მძიმე იქნება ამ პირობებში თამაში. ამიტომ საჭიროა ჩემპიონატის დაწყებამდე ჩასვლა ჩილში და საწვრთნელი შეხვედრების ჩატარება.

უოლტერ უინტერბოტომი,
ინგლისის ნაკრების მწვრთნელი.

1. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი როდია. ფეხბურთის განვითარება, ჩემის აზრით, დაკავშირებულია თამაშის სისწრაფის ზრდასთან. მოთამაშეებს უნდა ვასწავლოთ სწრაფად, დაუყოვნებლივ გადაწყვიტონ მათს წინაშე წამოჭრილი ტაქტიკური ამოცანები: ფეხბურთელმა ყოველგვარ სიტუაციაში უნდა იცოდეს, თუ როგორ მოიქცეს. ამავე დროს მე დარწმუნებული ვარ, რომ თანდათან საჭირო გახდება ფეხბურთელთა ტექნიკური მომზადების გაუმჯობესებაც. ტაქტიკის გაუმჯობესება გარდუვალად დაკავშირებულია თამაშის სისწრაფის მატებასთან. ეს კი მოთამაშეებისგან მოითხოვს იდეალურ ფიზიკურ მომზადებას.

2. ჩილში გასამგზავრებლად საჭიროა დარჩენილი 4 თამაშიდან მოვაგროვოთ 3 ქულა მაინც. იმედი მაქვს, რომ ამას შეძლებთ. ინგლისის გუნდის შემადგენლობა მსოფლიო ჩემპიონატის წინ დაახლოებით ცნობილია. ინგლისის პირობებში ეროვნულ ნაკრებთან მუშაობა საგრძნობლად გაძნელებულია. აქ თავს იჩენს მოთამაშეთა დიდი დატვირთვა ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში. ამის მაგალითად მოვიყვან ინგლისის ნაკრების ტურნეს ევროპაში ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. ვენის მატჩში მოთამაშენი მეტად დაღლილები გამოიყურებოდნენ. აიღეთ სხვა მაგალითიც: იმ დროს, როცა ჩვენი ფეხბურთელები უნდა ისვენებდნენ, ან ძალებს იკრებდნენ, ისინი სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან საგასტროლო მატჩების ჩასატარებლად.

რუდოლფ ვიტლაჩილი,
ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელი.

1. მეც ზოგიერთი სპეციალისტის მსგავსად მივიჩნევ, რომ განვითარება მოხდება სისწრაფის გაზრდის ხარჯზე, მაგრამ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს ტექნიკაც, თუმცა ესეც არ იქნება საკმარისი. ფეხბურთელებმა მოჭადრაკეთა მსგავსად ზოგიერთი „სვლა“ წინასწარ უნდა გათვალონ, მაშინ გაუჭობესდება მოედნის „ხედვა“.

2. თუ ჩვენი გუნდი შოტლანდიელებთან ფრეს მიაღწევს გლაზგოში, გზა ჩილისკენ ხსნილია. დღეისათვის კიდევ გრძელდება სათადარიგო მოთამაშეთა გამონახვა, რათა ზოგ ადგილზე ორი ან სამი თანაბარი კლასის მოთამაშე და ღირსეული რეზერვი გვყავდეს. გვაფიქრებს ჩილის ბუნებრივი პირობების საკითხი. იგი ხანგრძლივ შეგუებას მოითხოვს.

ბილ რაიტი,
ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი.

1. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ევროპის წამყვანი გუნდები ტექნიკის დარგში დაახლოებით თანაბარი არიან. ჩემი აზრით, ტექნიკის პროგრესი ფეხბურთის განვითარების მთავარი პრობლემა არ არის. ჩვენს თამაშს სჭირდება ბიძგი ტაქტიკის განვითარების მხრივ. ფეხბურთის ამ უთვალსაჩინოესი სფეროს განვითარებას არც სხვა დარგების წინსვლა (ტექნიკა, ფიზიკური მომზადება) უნდა ჩამორჩებოდეს.

2. ინგლისის ნაკრების ჩამოყალიბება არასოდეს ყოფილა იოლი საკითხი და უინტერბოტომი ახლაც მთელი რიგი სიძნელეების წინაშე დგას. საჭიროა მოგვარდეს ურთიერთობა კლუბების მენეჯერებთან, რომლებიც საერთო ენას ვერ ნახულობენ ნაკრების ხელმძღვანელობასთან.

მისაბაძი ინიციატივა

სადგურ ნავთლუღის ტერიტორიაზე მომუშავე მუშა-ახალგაზრდობამ მეტად სასარგებლო საქმე წამოიწყო. ქართული ჭიდაობის მოყვარულებმა რკინიგზელთა საერთო საცხოვრებლის გვერდით წრე გააკეთეს, ზედ ნახერხი დააყარეს და საჭიდაო მოედანი გამართეს. ყოველ საღამოს საჭიდაო სარბიელზე ტარდება ამხანაგური შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა და ქართული ჭიდაობის ვეტერანთა შორის.

ნავთლუღელ სპორტის მესვეურთა ინიციატივა მისაბაძია. კარგი იქნებოდა თუ თბილისის და კერძოდ, 26 კომისრის რაიონის სხვა პუნქტებშიც მოეწყობოდა მსგავსი სპორტული ბაზები, რომლებიც ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებას შეუწყობს ხელს.

ნ. ნებიერიძე

რედაქტორი ი. უგულავა.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოთარ ქორქიას მისი დედის

სონია ნიკოლოზის ასულ ტაეციშვილი-ქორქიას

გარდაცვალების გამო.

15-16 ივლისი

საერთაშორისო შეხვედრა

ჩეხოსლოვაკია — საქართველო

დასაწყისი 19 საათზე.

18 ივლისი

საერთაშორისო შეხვედრა

აშშ (ნაკრები) — სსრკ (ნაკრები)

დასაწყისი 19 საათზე.



20 ივლისი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა გამოსვლა

მსოფლიო ექს-ჩემპიონ ჯეკ კრამერის (აშშ) მონაწილეობით

დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი. „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62. პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03996